იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი

საერთაშორისო კონფერენცია ,,ოკუპირებულ აფხაზეთში ლეგიტიმურად მცხოვრებ პირთა უფლებრივი მდგომარეობა”

24 მაისი, 2022, სასტუმრო ,,შერატონ მეტეხი პალასი”

აფხაზეთის უნიონისტა პოლიტიციდი და მერიტოციდი

მოგესალმებით და მადლობის გიხდით მოწვევისათვის. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ მოღვაწეებსა და აკადემიურ საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ფორმატების შექმნას და განვითარებას.

ჩემს მოხსენებაში გავამახვილებ დღეს ყურადღებას იმაზე თუ რა არის **პოლიტიციდი** და რა არის **მერიტოციდი.** რა არის ადამიანის და სოციალური ჯგუფის ან ინსტიტუტების პოლიტიკური დევნა და რა არის საზოგადოების ინტელექტუალური ელიტის დევნა და დისკრიმინაცია.

აფხაზეთის გარშემო არსებობს - პოლიტიკური სუბიექტების დეფორმირებული აღქმის პრობლემა.

პოლიტიკური ფსიქოლინგვისტიკის ანალიზის ჭრილში ნათლად ჩანს, რომ ისეთი მოვლენა, როგორიცაა აფხაზეთის პოლიტიკური კონფლიქტი, აღიქმება და აღიწერება ეთნოცენტრისტული ტერმინოლოგიით, რაც წარმოადგენს ფუნდამენტურ შეცდომას და ანვითარებს პოლიტიკური კონფლიქტის აღქმის ეთნიზირებას. ფაქტობრივად პოლიტიკური კონფლიქტი დაჰყავს ეთნიკურამდე - ე.წ. „აფხაზებსა“ და „ქართველებს“ შორის.

ეს პრობლემა გამოწვეულია იმით, რომ უცხო ქვეყნების მიერ წარმოებული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური პოლიტიკის შედეგად, პოსტ-საბჭოთა საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის აზროვნება და ენა გახდა **ეთნოცენტრისტული.**

აფხაზეთის კონფლიქტი წარმოადგენს რთული ტიპის კონფლიქტს. ეთნიკური და პოლიტიკური კონფლიქტები კი წარმოადგენენ მის მხოლოდ ორ ავტონომიურ, მაგრამ ურთიერთკავშირში მყოფ კონფლიქტთა სისტემებს.

ეთნიკური კონფლიქტის სუბიექტები წარმოადგენენ ეთნიკურ ჯგუფებს, ხოლო პოლიტიკური კონფლიქტის სუბიექტები - პოლიტიკურ ინტერესთა ჯგუფებს. ეს ორი სისტემა არაა კონგრუენტული.

აფხაზეთი ყარაბაღი არაა. იქ პოლიტიკური, ეთნიკური, ლინგვისტური, ეკონომიკური და რელიგიური სეგმენტაცია მკაფიოდ არის გამიჯნული და ემთხვევიან ერთმანეთს. აფხაზეთში ჩვენ ვხედავთ საპირისპირო სურათს. აქ საუბარია დემოგრაფიული დიფუზიის ისეთ ხარისხზე, რომ ერთმანეთს ესვრიან **ერთი გვარის შვილები.**

ამიტომ, 30 წლის განმავლობაში შექმნილ სამეცნიერო და პოლიტიკურ დისკურსში დომინირებული ტერმინოლოგია საგანგებოდ უნდა დაექვემდებაროს რევიზიას.

აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის პოზიტიური ტრანსფორმაცია და **აფხაზეთის უსაფრთხო თანასაზოგადოების** შექმნა არის შესაძლებელი იმ შემთხვევაში, თუ მოხდება არსებული სამშვიდობო პროცესის სრული რევიზია, კორექცია, და უზრუნველყოფა აქამდე გამოუყენებელი ახალი შესაძლებლობებით. და ასეთი გამოუყენებელი შესაძლებლობები - ულევია.

ერთერთი ასეთი შესაძლებლობაა - **აფხაზეთის პოლიტიკური უმცირესობების თაობაზე** და მათ უფლებებზე ყურადღების გამახვილება და ზრუნვაა. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ პოლიტიკურ უმცირესობებზე, არ შეიძლება რომ ვისაუბროთ მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე დღეს მცხოვრებ ადამიანებზე. თავის შინაარსში ეს უკვე არის დისკრიმინაცია დევნილი მოსახლეობის პოლიტიკური უფლებების და ინტერესების. დევნილები უნდა განიხილებოდნენ როგორც აფხაზეთის პოლიტიკის განუყოფელი სუბიექტი.

იმისთვის რომ გავიგოთ ვინ წარმოადგენს პოლიტიკურ უმცირესობას აფხაზეთში მინდა გაგაცნოთ ჩემს სადისერტაციო ნაშრომში - **„მეტაკოგნიტური მართვის თეორიის შესაძლებლობები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში“** წარმოდგენილი **აფხაზეთის კრიზისის პოლიტიკური კომპონენტის მოდელი**

აფხაზეთის კრიზისის პოლიტიკური კომპონენტი, წარმოადგენს შერეული ტიპის მრავალმხრივ კონფლიქტს, რომელიც მოიცავს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო კონფლიქტებს. შიდა დონეზე, იგი (პოლიტიკური კომპონენტი) წარმოდგენილია ორი ქვესახეობით:

<u>პოლიტიკური კონფლიქტის შიდა განზომილება:</u>

- **კონფლიქტი აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების ორ ნაწილს შორის**

- უნიონისტებს (საქართელოს ტერიტორიული მთლიანობის მომხრეები)

- სეცესსიონისტები (გამოყოფის მომხრეები);

- **შიდა კონფლიქტი სეცესსიონისტებს შორის:**

- ირედენტისტები (აფხაზეთის სხვა სახელმწიფოებში ინტეგრაციის მომხრეები)
- სეპარატისტები (დამოუკიდებელი სახელმწიფოს მომხრეები).

- **შიდა კონფლიქტი (განსხვავებები) ირედენტისტებს შორის:**

პრორუსული, პროსომხური და პროთურქული.

- **პოლიტიკური კონფლიქტი სეპარატისტებს შორის:**

- პრორუსული, პროთურქული და პროდასავლური (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირი). აქ იკვეთება კონტინენტალური ევროპის და ანგლო-საქსური განზომილების განსხვავებულობის პრობლემა, რომელიც მოითხოვს დამოუკიდებელ ანალიზს.

- **შიდა პოლიტიკური კონფლიქტი უნიონისტებს შორის**
- გაერთიანებული საქართველო რუსეთის ორბიტაზე
- გაერთიანებული საქართველო დასავლეთის ორბიტაზე (ნატოს ორბიტა; ევროკავშირის ორბიტა და ახლად გაჩენილი ე.წ. **ევროპული თანასაზოგადოების** ორბიტა).
- პატრიოტი-იზოლიაციონისტები - ორიენტირებულინი არიან საქართველოს მაქსიმალურ დამოუკიდებლობაზე გარე ძალებისაგან. მათ შორისაც არის შიდა განსხვავებულობები - მიუმოხრეულობის და ნეიტრალიტეტის სხვადასხვა სახეობები.

ასევე უნიონისტები არიან შემდეგი ქვეკატეგორიების: კონფედერალისტები, ფედერალისტები, ავტონომისტები, უნიტარტისტები.

შიდა პოლიტიკური კონფლიქტი საქართველოში:

• კონფლიქტი ცენტრსა და რეგიონს შორის (აფხაზი სეცესსიონისტები განიხილავენ ამ განზომილებას, როგორც საერთაშორისო კონფლიქტს - აფხაზეთსა და საქართველოს შორის). უნიონისტების აზრით ეს საქართველოს შიდა კონფლიქტია. ცენტრსა და რეგიონს შორის კონფლიქტი ორი კომპონენტისგან შედგება: "ცენტრი - სეცესსიონისტები" და "ცენტრი - უნიონისტები". მეორე კომპონენტი არაა საკმარისად აღწერილი სამეცნიერო დისკურსში.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შეცდომას წარმოდგენს ის ფაქტი, რომ საერთაშორისო არენაზე დააყენეს საკითხი ქართველთა ეთნიკური წმენდის, მარგამ არ დააყენეს **უნიონისტთა პოლიტიციდის** საკითხი. განსხვავებით პირველი საკითხისაგან ეს საკითხი შეეხება მრავალეროვან (პოლიეთნიკურ და პოლიკონფესიურ) უნიონისტთა სოციუმს. ამ სოციუმის ძირითადი ნაწილი დევნილობაშია, ხოლო მცირე ნაწილი ცხოვრობს აფხაზეთის ტერიტორიაზე (აქ არ იგულისხმება მხოლოდ გალის მოსახლეობა).

ორივე სოციუმი პოლიტიკური თვალსაზრისით დისკრიმინირებულია.

პოლიტიციდი თავის შინაარსით ნიშნავს ადამიანების მასიურ განადგურებას, განდევნას და დისკრიმინაციას პოლიტიკური ნიშნით. აფხაზეთის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ ეთნოციდს (თუ ეთნიკური წმენდას), არამედ პოლიტიციდს. ამის მტკიცებულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქართველების გარდა დევნიდნენ და ანადგურებდნენ სხვა ეროვნების ადამიანებსაც. იგივე პოლიტიკა მიმდინარეობდა ცხინვალშიც. განსაკუთრებით დაუნდობელი იყო აგრესორი შერეული ოჯახების მიმართ.

მოვიდა დრო, რომ დღის წესრიგში დადგეს პოლიტიციდის თემა. ეს არ ნიშნავს ეთნოციდის უარყოფას. მაგრამ პოლიტიკური სამართლიანობიდან გამომდინარე ჩვენ არ გვაქვს მორალური უფლება რომ არ ვისაუბროთ **ეთნიკურად არა ქართველ ან პოლიკულტურული ოჯახების უნიონისტებზე.** განსაკუთრებით ეს შეეხება უამრავ აფხაზს და შერეული ოჯახების წარმომადგენლებს.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან გამოყენებულია საინფორმაციო-ფსიქოლოგიური იარაღი. ისინი შემოვიდნენ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში დეკლარირებულად ეთნიკური უმცირესობების დასაცავად, რეალურად კი უფრო პოლიტიკური მოკავშირეების დასაცავად. უფრო ღრმად რომ ჩავწვდეთ ამ საკითხს, არავის დასაცავად არ შემოსულან, შემოვიდნენ საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად.

საქართველოს ხელისუფლებას სამწუხაროდ არ გააჩნია არავითარი სტრატეგია ამ კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის. იგი მოქმედებს პრინციპიდან „არ ვავნო“. მაგრამ ეს პასიური პოლიტიკა არ იწვევს საზოგადოების ფართო ფენებში მხარდაჭერას . საზოგადოება ითხოვს პოზიტიურ ტრანსფორმაციას.

ამავე დროს არა ისტერიულ და იმპულსურ ტრანსფორმაციას, რომელმაც საბოლოოდ გამოიწვია 2008 წლის აგვისტოში, აფხაზეთის სრული ტერიტორიის ოკუპაცია, არამედ ისეთ ტრანსფორმაციას, რომელიც გულისხმობს ყველა გარე აქტორის ინტერესს და არ ატარებს უტოპიურ ხასიათს. იგი უნდა ეყრდნობოდეს სამეცნიერო გათვლებს და პოლიტიკური პროცესების მართვის ინოვაციურ პრინციპებს.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით ასეთი პროდუქტი შექმნილია. დადგა დრო რომ პოლიტიკოსებმა გამოიყენონ ახალი შესაძლებლობები. ამ კვლევითი პროგრამის ჩარჩოში შექმნილია ასევე **სვიმონ კანანელის აფხაზეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროექტი**, რომელიც რადიკალურად განსხვავდება არსებული კვლევითი ფორმატებისგან. უნიონისტების პოლიტიკური უფლებების დაცვა გულისხმობს პირველ რიგში ამ პროცესის სამეცნიერო უზრუნველყოფას.

ხაზგასმით მინდა ავღნიშნო რომ ამ პროექტს არაფერი არ აქვს საერთო იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც არსებობენ და ატარებენ რეალურად არა აფხაზეთმცოდნეობის, და არც კი აფხაზთამცოდნეობის, არამედ - აფსუათმცოდნეობის ხასიათს.

დევნილობაში მყოფი პოლიტიკური ორგანიზაციები ვეღარ გააგრძელებენ რეალურ არსებობას თუ არ მოხდება მათი სრული ტრანსფორმაცია სისტემური სამეცნიერო უზრუნველყოფით.

ის რასაც მე გეუბნებით, არის სრულიად ახალი სამეცნიერო პარადიგმა, რომელსაც შეუძლია შეიტანოს სერიოზული ცვლილება ძალთა ბალანსში და ხელი შეუწყოს აფხაზეთის უნიონისტთა პოლიტიკური უფლებების დაცვას.

დევნილობაში მყოფმა პოლიტიკურ ინსტიტუტებმა უნდა გააკეთონ მყისიერი არჩევანი - ან „პოლიტიკური ჭაობი“, ან „მენტალური ტრანსფორმაცია“.

პოლიტიციდის გარდა, მე დღის წესრიგში შემომაქვს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ცნება და ეს არის **მერიტოციდი**. მერიტოციდი ნიშნავს ერის ინტელექტუალური ელიტის განადგურებას.

თუ გვინდა ამ პროცესის შეჩერება, აუცილებელია განვახორციელოთ შემდეგი ოპერატიული მოქმედებები:

1. აფხაზეთის დევნილი მთავრობის განათლების და კულტურის სამინისტროს ტრანსფორმაცია, და მეცნიერების კომპონენტის საგანგებო ჩართვა სამინისტროს ბრენდში, რაც უნდა გულისხმობდეს შესაბამის სტრუქტურულ და საბიუჯეტო ცვლილებებს. ეს ცვლილება ასევე განპირობებულია მისი სტრუქტურული შეუთავსებლობით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის სამინისტროსთან.
2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დონეზე უნდა შეწყდეს აფხაზეთის მეცნიერების სისტემური დისკრიმინაცია, და აჭარის მსგავსად შეიქმნას შესაბამისი რეგიონული აკადემიის სტრუქტურა. ეს ხელს შეუწყობს აკადემიური და სამეცნიერო დიპლომატიის შესაძლებლობების განვითარებას და გახლეჩილი საზოგადოების ორ აკადემიას შორის მოლაპარაკებების წარმოებას. დაუშვებელია რომ სოხუმში მოქმედებდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ხელშეწყობით მეცნიერებათა აკადემია, ხოლო თბილისში, დევნილობაში მყოფ მეცნიერებს ასეთის შესაძლებლობა არ ჰქონდეთ. აღარაა საუბარი იმაზე, რომ თვით ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიაში მათი წარმომადგენლობა ნულის ტოლია.
3. მთავრობის აქტიური თანამშრომლობის შედეგად ხელი უნდა შეეწყოს **სვიმიონ კანანელის სახელობის აფხაზეთმცოდნეობის ინსტიტუტის** და საერთაშორისო სტანდარტების მქონე სამეცნიერო გამოცემა **„Abkhazian Studies”** შექმნას.
4. აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებიდან დევნილი მოსახლეობის პოლიტიკური დისკრიმინაციის შეწყვეტის და მათი პოლიტიკური ინტერესების დაცვის მიზნით უნდა შეიქმნას საქართველოს უნიონისტთა პარტია, რომელიც დაამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს სხვა ქვეყნებში არსებულ

მსგავს ორგანიზაციეთან რაც მისცემს ეფექტური პოლიტიკის წარმოების შესაძლებლეობას ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.
მომავალ არჩევნებში, იუნიონისტურმა პარტიამ უნდა აღადგინოს საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის ახალი თაობის პოლიტიკური ელიტის ღირსეული წარმომადგენლობა, რაც გამოიხატება უნიონისტთა ფრაქციის შექმნის პროცედურით. მნიშვნელოვანია, რომ ეს იქნება პირველი სერიოზული ნაბიჯი ცხინვალიდან და აფხაზეტიდან გამოდევნილი მოსახლეობის კონსოლიდაციის.

5. ყველას კარგად უნდა ესმოდეს, სოხუმში, ცხინვალში, თბილისში, მოსკოვში თუ ვაშინგტონში, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების და უსაფრთხოების გარანტად შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ კონფლიქტების მთავარი მსხვერპლი - პოლიტიკურ უმცირესობაში მყოფი პოლიტიკიდან განდევნილი უნიონისტები.

ალექსანდრე რუსეცკი - ფსიქოლოგიის დოქტორი, პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორანტი, პოლიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო საზოგადოების წევრი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის კოორდინატორი საქათველოში, ცხუმ--აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკური და ფსიქოლოგიური კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი.